

რპიცაბეტონის კონსტრუქციების წინასწარ დაპაპლის საიმედოობის უზრუნველყოფა

ვ. ბეჭუნი, ა. შუბანევიშვილი, ა. იურიათინი, ა. სარჯველაძე

განხილულია გამომჭიმი და გადასადგილებელი ღომერატების საიმედოობის საკითხები. ნაჩვენებია ღომერატები არსებული სხვადასხვა ტიპის სამაჯურებისა და დგუშის, ჭოკისა და ცილინდრის შორის შემჭიდროებებს შორის ხახუნის გამო გამოწვეულ დანაკარგებზე. ეს უკანასკნელი ასევე დამოკიდებულია მასალის კონსტრუქციულ მოწყობილობაზე და ცილინდრისა და ჭოკის ზედაპირების დამუშავების ხარისხზე, მათ ძღვომარეობაზე და სხვა მიზეზებზე და მან შეიძლება მიაღწიოს 10-12%-ს. მოცემულია აგრეთვე ღომერატის ტარიებისათვის მოწყობილობების კონსტრუქცია კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც რეალურად ჩატარებული იქნა ორივე ტიპის ღომერატის ტარიება. ნაჩვენებია ხახუნისაგან გამოწვეული დანაკარგები და მათი გავლენა ღომერატის მაჩვენებლების საიმედოობაზე.

წინასწარ დაძაბულ რეინაბეტონის კონსტრუქციებში არმატურის დაძაბვის სიდიდე წარმოადგენს კონსტრუქციის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს. მასზეა დამოკიდებული საბოლოოდ კონსტრუქციის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ექსპლუატაციაში ყოფნის დროს.

არმატურის დაძაბვა წარმოებს ჰიდრავლიკური ღომერატის მეშვეობით. ღომერატი არის ორი სახის – პირველი გამოსაჭიმი, რომელსაც იყენებენ სტენდზე და ასევე ბეტონზე ერთი არმატურის დაძაბვის დროს, და მეორე - ტრავერსზე დამაგრებული რამდენიმე არმატურის ერთდროულად დასაძაბვად, ღომერატის დგუშის ტრავერსზე მიწოდისა და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის გადაადგილების მეშვეობით. ეს მეორე სახის ღომერატი გამოიყენება კონსტრუქციების დაბეტონებამდე არმატურის დასაძაბვად.

ჰიდრავლიკური ღომერატით არმატურის დაძაბვის ძალის სიდიდე კონტროლდება მანომეტრის ჩევენების საშუალებით. ჰიდრავლიკურ ღომერატში არსებული სხვადასხვა ტიპის სამაჯურები და დგუშის, ჭოკისა და ცილინდრის შორის შემჭიდროებები განაპირობებს ხახუნის გამო გამოწვეულ დანაკარგს. დანაკარგების სიდიდე დამოკიდებულია შემამჭიდროებელი მასალის კონსტრუქციულ მოწყობილობაზე და ცილინდრისა და ჭოკის ზედაპირების დამუშავებაზე, მათ მდგომარეობაზე, ჩობალის მოჭიმვის ხარისხზე და სხვ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წნევის შლანგებშიც, რომელიც აერთებს ღომერატსა და სატუმბო სადგურს, მოხდეს დანაკარგები. ამიტომ რეკომენდებულია, რომ შლანგის სიგრძე არ აღემატებოდეს 1,5-2,0 მ-ს.

ძალა, რომელსაც ანვითარებს ჰიდრავლიკური ღომერატი, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის დგუშის კვეთის აქტიურ ფართობზე და სითხის მუშა წნევაზე და

მისი სიდიდე გამოითვლება ფორმულით:

$$N = \frac{\pi(D-d)^2}{4} P, \text{ კგ,}$$

სადაც D - ცილინდრის შიგა დიამეტრი, სმ; d - ჭოკის დიამეტრი, სმ; P - სითხის მუშა წნევა (მანომეტრის ჩევენება), კგ/სმ².


ნახაზზე მოცემულია ჰიდროდომერატის ტარიების თვალსაჩინო გრაფიკი.

დანაკარგებმა შეიძლება მიაღწიოს დაჭიმვის ძალის 10-12%-ს და, რასაკვირველია, ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული არმატურის დაძაბვის დროს მითუმეტეს, რომ დანაკარგის სიდიდე იცვლება მუშა წნევის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გამო დომერატის მიერ განვითარებული ფაქტობრივი ძალის განსასაზღვრად ეს უკანასკნელი უნდა იქნეს ტარირებული.

დომერატის გამოცდა (ყოველ 6-12 თვეში ერთხელ) წარმოებს სტატიკური დატვირთვით, რომლის სიდიდე უნდა აღემატებოდეს დომერატის პასპორტით მოცემულ ზღვრულ მნიშვნელობას 10%-ით. ამ დროს დომერატის დგუშის ჭოკი უნდა იყოს გამოწეული უკიდურეს ზედა მდგომარეობაში 10 წთ-ის განმავლობაში.

პიდრაგლიკური დომერატით მუშაობისას დაუშვებელია მისი დამცავი საცობის მოპირდაპირე მხარეს ყოფნა.



ნახაზი. ძალის და მანომეტრის ჩვენების დამოკიდებულების გრაფიკი:
1 - თეორიული (საანგარიშო); 2 - ფაქტობრივი

ამ დამუშავებული მეთოდის მიხედვით ჩატარდა ავტობანის რუისი-აგარა მონაკვეთზე არსებული ხიდებისათვის დასამზადებელი რკინაბეტონის კოჭების წინასწარ დაძაბვისათვის გამოყენებული ორი სახის დომერატის ტარირება.

მეორე სახის YDT 3000 დომერატის ტარირებისათვის დამზადდა სპეციალური ხისტი ჩარჩო, რომელიც შედგებოდა 4Φ80 მმ ღეროებისაგან, $\delta=35$ მმ-ის სისქის ორი ზედა და ქვედა ფილისაგან და მათზე დაღუდებული №20 შველერებისაგან. ამ ჩარჩოს უნდა აეთვისებინა 3000 კნ სიმძლავრის დომერატში განვითარებული ძალა.



ფოტო 1. ტარიღების ლითონის ჩარჩო YDT 3000 დომკრატიან ერთად

ამ ჩარჩოს შიგნით თავსდებოდა დასატარირებელი დომკრატი (ფოტო 1), რომელზეც შემდგომ იდგმებოდა DOC-500-ის სანიმუშო დინამომეტრი, რომელიც ზომავდა 500-5000 კნ-ის ფარგლებში განვითარებულ ძალას (ფოტო 2). დომკრატით განვითარებული ძალა გადაეცემოდა დინამომეტრს და მისი სიდიდე ფიქსირდებოდა მასზე მოთავსებული ტარიღებული ინდიკატორის მეშვეობით, რომლის დანაყოფის ფასი შეადგენდა 0,01 მმ. ამ ინდიკატორის ჩვენების მიხედვით შემდგომში წარმოებდა სატუმბო სადგურზე მოთავსებული მანომეტრის ჩვენების კორექტირება.

პირველი სახის გამოსაჭირო დომკრატის ტარიღებისათვის წინასწარ ლაბორა-ტორიაში ჩატარდა ლითონის 25 მმ-იანი დიამეტრის ლითონის დეროს საკონტროლო ნიმუშების გამოცდა გაჭირვაზე პიდრავლიკური წნევის მეშვეობით. მასზე ორ მოპირდაპირე მხარეს დამაგრებული იქნა საათის ტიპის მესურები დანაყოფის ფასით 0,01 მმ. ამ მესურების მეშვეობით ფიქსირდებოდა წნევის მიერ განვითარებული დატვირთვებით გამოწვეული დეროს დეფორმაციები. ამ სამუშაოს შედეგად იგება დატვირთვებისა და დეფორმაციების დამოკიდებულებების გრაფიკი, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნა დომკრატის ტარიღებისას.



ფოტო 2. YDT 3000 ტიპის დომკრატზე მოთავსებული დინამომეტრი

ტარიოების ჩასატარებლად ლითონის ჩარჩო მოყვანილი იქნა პორიზონტალურ მდგომარეობაში (ფოტო 3). ჩარჩოს ზედა და ქვედა ლითონის ფილებში არსებული გამჭოლი ხვრეტის მეშვეობით გატარდა დამზადებული სწორსაზოვანი ელემენტი-ლითონის დერო. მისი ერთი მხარე ყრუდ, ჭანჭიკის მეშვეობით ჩამაგრდა ჩარჩოს ფილაში, ხოლო მეორე ბოლოთი, რომელსაც წარმოადგენდა ბაგირი, წარმოებდა ამ ელემენტის გამოჭიმვა დასატარიოებელი დომკრატის მეშვეობით (ფოტო 3). გამოჭიმვას წინ უსწრებდა ლითონის დეროზე ისევე, როგორც ეს ლაბორატორიაში იყო გაკეთებული, ორი საათის ტიპის მესურის დამაგრება.



ფოტო 3. QYC 240 ტიპის დომკრატი ტარიოების პროცესში

ლითონის საკონტროლო დეროს დეფორმაციების მიხედვით, რომელიც ფიქსირდებოდა მასზე დამაგრებული მესურების მეშვეობით, წარმოებდა სატუმბო დანადგარზე მოთავსებული მანომეტრის ჩვენების კორექტიონება.

დახვენები

1. დომკრატის მიერ განვითარებული ძალის სიდიდის საიმედოობისათვის აუცილებელია მოხდეს მისი ტარიოება ყოველ 6-12 თვეში ერთხელ.
2. ტარიოების დროს დომკრატში განვითარებული ძალა პასპორტით მოცემულ ზღვრულ მნიშვნელობას უნდა აღემატებოდეს 10%.
3. ტარიოებისას დომკრატის ჭოკი (დგუში) უნდა იყოს გამოწეული უკიდურეს ზედა მდგომარეობაში და იმყოფებოდეს ამ მდგომარეობაში არანაკლებ 10 წთ-ისა.
4. სატუმბო დანადგარიდან დომკრატამდე გადამცემი წნევის შლანგების სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 1,5-2,0 მ-ს.

არჩილ ჭუბანიშვილი ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

Tel.: +995(32) 38-67-98; Mob.: +995 99 939496

E-mail: SPTC.Centre@gmail.com